8/1965

№ 4 თბილისი თებერვალი 1965

ნიანგი

გამოცემის 42-ე წელი. ფასი 20 კაპ.

მეტრო „მარჯანიშვილი"



საბჭოთა საქართველო 44 წლისაა

ნახ. ნ. მალაზონიასი

ავ თვალს არ დაენახვება...

უცხოელი ჟურნალისტი: 44 წლის წინათაც ვიყავი საქართველოში... ხალხი მიწურში ცხოვრობდა. ახლაც იგივე სურათია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტინისხიდში

„დაიწყო მოსავლის აღება“

შემოდგომამ, ჭირნახულის გარდა, გოდრობით მოუტანა საზრუნავი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, აგრონომსა და საწყობის გამგეს.

ითათბირეს და დაადგინეს — გაისადაც დაეთესათ ქერი.

— რამდენი შევინახოთ სათესლედ? — იკითხა ცნობისმოყვარე საწყობის გამგემ ალექსი ყაზარაშვილმა და თვინიერი მზერა ესროლა კოლმეურნეობის თავმჯდომარე როსტომ ბერელაშვილს და აგრონომ ვახტანგ ყაზარაშვილს.

— სამი ტონა, — იყო პასუხი ორ ხმაში.

— აგრე იყოს, მაგრამ ახლა ჩემსასაც ვიტყვი. მითხარით, სათესლე ქერს გაწმენდა რად უნდა, აფსუსი არ არის ტყუილად შრომა? აბა, რა ჭკუაა გაასუფთაო, გაწმინდო და მერე ისევ მიწაში ჩაყარო.

აგრონომმა და თავმჯდომარემ არც ჰო თქვეს და არც არა, მხოლოდ ერთმანეთს შეხედეს, მერე ორივემ აზრიან საწყობის გამგეს წამახალისებელი ღიმილი სტყორცნეს.

გორის მეთესლეობის საკონტროლო ლაბორატორიამ მაცივარში საგულდაგულოდ გაყინული წყალი გადაასხა ალექსის. ქერი უკან გადმოუყარეს და ბრინჯივით დააბნიეს ვაჟკაცი.

— ეს რა მოგიტანია, გაუწმენდავი და უხარისხო.

ამას აღმოცენების უნარი არა აქვს.

გადაიარა ალექსიმ ლიახვის ხიდი და ტინისხიდში მივიდა. საწყობი მოინახულა: ქერი გორის მეთესლეობის საკონტროლო ლაბორატორიის ჯინაზე ღაღანებდა. ჩახურებულიყო, წყალი ჭერიდან შეესვა და საწყობში ჯეჯილი ხარობდა.

— ამაზე ამბობენ, კაცო, არაკონდიციური თესლიაო, არ გაიხარებსო, საწყობში ყანა გაგვიშენებია...

ისევ გაუჩნდათ საზრუნავი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, აგრონომსა და საწყობის გამგეს.

ითათბირეს და დაადგინეს — არ დაეთესათ ქერი, თავი არავის არ შეუკავებია, წინააღმდეგი არავინ არ წასულა.

აჯეჯილებული 30 ცენტნერი ქერი კი მოელის მომკელს. ვინ იცის ამ საწყობში შენახული სიმინდი და ხორბალიც მალე გახდეს ასაღები. ასაღები და მოსაშორებელი მართლაც ბევრი რამაა ტინისხიდში.

ვ. ტინისხიდელი



ნახ. ო. ჯიუჯარიანისა

ზემოთახედული კაცი

— ამხანაგო დირექტორო, ეს ლურსმანი ჭერზე უნდა ავაჭედო.
— მერე და, რას იტყვიან იქ... ზევით?!.

მ·ძ·ა·რ·ც·ვ·ე·ლ·ი

ქუჩაში მივდივარ, გვიანი ღამეა. მოულოდნელად ვიგრძენი ვიღაც მომდევს. „ნეტავ მეეზოვეს ან მილიციელს წავაწყდე“, — გავიფიქრე და თვალი წინ გავაპარე. ქუჩა დაცარიელებულია. გულზე შემომეყარა. გონს მოვედი თუ არა, რაც ძალი და ღონე მქონდა, მოვკურცხლე. უკან ვიღაც ხტუნვა-ხტუნვით, მძიმე ხვნეშით მომდევს. სწორედ ჩემი სახლის წინ უცნობის ღონიერმა ხელებმა შემაჩერეს. წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა.

— ფული! — მომმართა მძარცველმა.

ღამის წყვდიადში ვერ გავარჩიე მისი სახე, ხმა კი ნაცნობი მეჩვენა. ამოვხიკე და მივეცი რაც კი მებადა. მძარცველმა ქაღალდის ფული გადაითვალა, ხურდა გააჩხარუნა და რამდენიმე ცივი მონეტა ხელში ჩამიდო.

გამოგიტყდებით, პირველად მძარცვავდნენ. მიუხედავად ამისა, კარგად ვიცოდი, რომ ასეთ შემთხვევაში ხურდას არ იძლევიან.

— მე ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ... თავი მოვისაწყლე.

— მაგ საკითხზე პროფკავშირის კრებაზე ვიმსჯელებთ, — წარმოთქვა უცნობმა.

ყურადღებით დავაკვირდი მის სახეს. რა თქმა უნდა, ის არის, რატომ უცებ ვერ ვიცანი... ჩვენი ადილკომის თავმჯდომარე! გაოცებისაგან სუნთქვა შემეკრა.

— როგორ გაბედე შენიანის!..

— წყნარად, ხალხს ძინავს! — შემაწყვეტინა თავმჯდომარემ. — შენგან სხვანაირად საწევროს ვერ მიიღებს კაცი.. ჩქარა მოაწერე ხელი, — მითხრა ქანცგამოლეულმა და უწყისს გადახედა, — ამაღამ კიდევ ხუთ კაცს უნდა დავხვდე!

ე. კორნილოვი,

რუსულიდან თარგმნა კ. შარმაზიანმა

ქუდს ქუდს

ბაზარს ბაზარი იმიტომ ჰქვია, რომ ყველამ ერთად იყაყანოს და აზრი გამოთქვას კერკეტა ნიგოზზე, თეთრ ბოლოკზე და წითლად აბრდღვიალებულ ინდაურზე.

ის კაცი, გრძელ დახლთან ტიკჭორების გვერდით რომ დგას და ღვინოს ჰყიდის, ჩუმადაა. საკვირველია, რომ იგი არ აქებს თავის ღვინოს, არც მუშტარს მოუხმობს მომხიბვლელი ჰიპერბოლებით. ეტყობა სულ არ ადარდებს, რომ ბაზარს მალე დაჰკეტავენ, ხოლო თვითონ ძალიან ცოტა ღვინო გაჰყიდა.

ამ ჩუმ კაცს უახლოვდება მეორე კაცი. მეორე კაცს საყელო აუწევია, ხელები ჯიბეებში ჩაუწყვია და წარბებზე ჩამოფხატული ჭრელი ქუდიდან დიდი, წითელი ცხვირი მოუჩანს. ამ კაცს სულ არ აღონებს, რომ დიდი ცხვირი აქვს, ცხვირის წითელი ფერი აფიქრებს მხოლოდ და კიდევ ის, რომ როცა ხშირ-ხშირად გწყურდება ღვინო, მაშინ როგორ უნდა მოიქცე კაცი.

— ჰყიდი? — ხმადაბლა ეკითხება დიდი, წითელი ცხვირის პატრონი ღვინის პატრონს.

ღვინის პატრონი თანხმობის ნიშანს აძლევს და ცხვირის პატრონი თვალს რომ მოაშორებდეს ტიკჭორას, დაინახავდა, რომ ღვინის პატრონი თავს უქნევს.

— კარგი ღვინოა?

— მე მომწონს.

— გაკეთებული ხომ არ არის?

— გაკეთებულიც არის და ჭირნახულიც. — ქუდი მოიხადა, მერე ისევ თავზე დაიმხო.

— მე გეკითხები ნაშაქრი ხომ არ არის-მეთქი!

ამის გაგონებაზე მეღვინეს მრგვალად მოხარშული მამლის ფერი დაედო. გამწყრალმა შეხედა მუშტარს, შავი სქელი ღვინით ჭიქა გაავსო და უხმოდ გაუწოდა. მუშტარმა ჯერ დაჭყნესა ღვინო, ცოტა ხანს დაფიქრდა და სულმოუთქმელად გადაჰკრა.

თვალი თვალს გაუსწორდა, სიჩუმე ჩამოწვა.

ღვინის გამყიდველი სწრაფად ავსებს მეორე ჭიქას.

— ერთი ჭიქით ღვინოს რას

გაუგებ, ძმობილო, გადაჰკარ ესეცა.

მუშტარი ჭიქას დასწვდა, სინათლეზე გახედა და მეორე ჭიქა რომ დალია, წითლად შეღებილ ულვაშებზე ხელი შეიწმინდა.

— მაგარი არ უნდა იყოს.— — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა.

— აბა ერთიც დამილიე და ნახავ, მაგარია თუ არა.

ღვინის მყიდველმა გადაჰკრა მესამე ჭიქაც...

ცოტა ხანს ამეებს მიმიხედე, მწნილი და პური მოვიტანო, ნაშაქრიო, ჰაი დედასა! — ამბობს მეღვინე და დამდუღრულივით გარბის.

მუშტარი ჩაფიქრდა. შევცქერი და, დედას ვფიცავარ, არ ვიცი რაზე ფიქრობს. მე საერთოდ ვერაფერი გავუგე ამ მუშტარს.

მერე ღვინის გამყიდველი ბრუნდება და ელვის სისწრაფით იცლება ჭიქები.

როცა მუშტარი მეათეჯერ დაწვდა მწნილს და წასვლა დააპირა, მეღვინემ სახელოში ჩასჭიდა მარჯვენა და შეეხვეწა.

— შე კაი კაცო, გულნატკენს ნუ დამტოვებ. ეს ღვინო ჩემი ნამუსია. ღვინოს ბოლომდე უნდა მიჰყვე, რომ გაიგო მისი ავ-კარგი.

მუშტარმა ოთხი ჭიქა კიდევ გადმოაპირქვავა. მერე, როგორც იქნა, მოაშორა ტიკჭორას თვალი. ქუდი შუბლს ზემოთ აიწია, უკან ბარბაცით გადადგა ორიოდე ნაბიჯი და მეღვინეს მთვრალი კაცის ღიმილით შეაგება მართალი სიტყვა.

— კარგი ღვინოა.

მეღვინე სწრაფად მოწყდა ადგილს, მუშტარს მივარდა, სიხარულისგან ათრთოლებულმა გულში ჩაიკრა, ზედ უშველებელ, წითელ ცხვირზე აკოცა და უთხრა:

— აგაშენა ღმერთმა.

მუშტარმა ისევ ჩაიწყო ჯიბეებში ხელები, ისევ ჩამოიწია ცხვირზე ქუდი, ღვინის გამყიდველს გამოემშვიდობა და გასასვლელისაკენ რხევით გაემართა.

ღვინის გამყიდველი ღიმილით შესცქეროდა ბარბაცით მიმავალს, იგი უსაზღვროდ, უსაზღვროდ ბედნიერი იყო.

მ. რევაზიშვილი

ზოგიერთ ქარხანაში სამუშაო დროს გულუხვად ფლანგავენ კულტ-მასობრივ საქმიანობაზე, სპორტზე.

ნახ. გ. ფირცხალავასი



— ჩვენი ზეინკალი სულ ყირაზე დგას და საქმეც ყირაზე აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჯახი კისერზე... იაფი და მოხერხებული ტრანსპორტი კოხტა-ბორბა ჯალაბრობის ასაუბნად (საბანირო ბჭის ნაცვლად).

— ნეტავ ინსტიტუტს ზამთარობით პაპერიანში გადმოიტანდნენ, ზაფხულობით კი მოვალი კოცნაზე.
— შემოდგომაზე კახეთში და გაზაფხულზე ფუნიკულორის კლატოზე, არა?!

ჩვენს ჟურნალს ესტუმრა ცნობილი მოსკოველი მხატვარი ვ. ნ. ბორიასევი.
რუსულ ზამთართან შეზარდილა ხელოვნებამ გაადაფუძიტა ბარაბანი მზით გამთბარი ქართული ზამთარიც ინახა. — იგი ბაპერიანს ეწვია დასასვენებლად.



— აი, რობერ გამოიყურება სასტუმრო „ბაპერიანი“ და მისი არქიტექტურული ზღვეტლა — სარეცხის ბაღარი.

თუ რობერ დაინახვენა ფუნჯის ოსტატმა თითო სამოთხეში ამაზე მეტყველებს მისი შემოძველებითი ალბომი, რომლიდანაც ამოვიღეთ ჩვენი ჟურნალისათვის საგანგებოდ შექმნილი ეს რამდენიმე ჩანახატი.

ბაპერიანის მზენაბეჭდის „ბიბანგტარი“ ნახატები

კარიერისტი

— დავდგა დალაბ?.. მე ყოველთვის ზევით მივილტვი...

„სოტყვის კონაში“ სახის ბაკურიანი რომ შეეტანა, ალბათ, ასეთ ვახმატრებას მისცემდა: „სამეფო თოვლთა და ყინულთა, განსასვენებელი მზისა და დასაბამი ცისარტყელათა“ დამსვენებელი — ცოტათი შეუფერებელი სიტყვაა აქ ჩამოსულის დასახასიათებლად.

აქ ავდელ დასოროალეს და ავდელ ალლეს. აქ დასასვენებლად არადის არ ცალია. აქ თავგამწირულნი ეშვეიან კოხტა გორიდან და ბაკურიანის საავდმყოფოში ამაოდ ეძებენ სათადარიგო ფეხებს, ეს ჭკლავებს, კოჭსა და მენჯის ძვლებს.

დიახ, აქ სატრფოს ბეჭნაში შეიძლება საკუთარი თავი დაკარგო.

ბაკურიანში სპორტსმენებიც ბლომად არიან. აქ მოიცავენ ავდელ განუწყვეტლივ თამაშობენ ფეხბურთს, ფეხბურთელები კი ეიგეურებით დაკერიან ან თხილამურებით ხაზავენ ტრასებს.

აქ ოჯახის ცალები ალმართზე ეპაანწყვეტით ეზიდებიან წვრილი ცოლშვილით დატვირთულ ეიგებს.

აქ მლაქვნელები თავიანთი ეფექოსთათვის ყველაზე სუფთა თოვლს და ეფექსართთა დალმართს დაეძებენ; მერე ჩამოსასვენებლად სხვებთან ჩემოდნებზე და ეიგებად ქცეული ჩემოდნები მიაქერიან გიორკვეველი მიმართულებით.

აქ ზეიდლამის წვიმიან და თოვლის ვრისტალებისგან თავლებაბრეკვეიოლებულ ამსტრაქციონისტული მოტივები ესახზრებთან.

ბასპორტლსა ბჭისაკენ...

ამ სტარეფრანგის ავტორი მეთოყვერ აკაკენეს ბაკურიანელი მასარიქლის ეიჯკარზე და ცრეფლშორეული შეხეცერი ვარსკვლავებით მოუდელი ცეს კი არა, ლამეშოეკარებელ მთათა შუბლს კი არა, ავალლს, ბუხრებიდან ზევად ამოდენილი ავალლს. იგი დაღლილი, გათოშილი და ბაბრაზებელია.

ბერის ღრეჩოდან ეშვეულები ხელი გამიჩნდა და დაეშვნენდგომა ხმამ ჩალაპარაკა:

— ბასპორტი!

ეიძრე ბასპორტი და საჩვენებელ და ცერა თითებს შორის ჩავეფე.

ხელი ბასპორტიანად მიიმალა.

ბაკურიანის ყინვა სერიოზული გიფრთხილებიდან პირდაპირ სამეზე გადადის. ჩემს ცხვირს, გიორკვეველი ფერი ედება და შეგრძნებაში სხვისი ცხვირის შთაბეჭდილებას სტოვებს.

მალე ისევ გამოჩნდა ცარიელი ხელი და ისევ ჩაილაპარაკა დაეშვნენდგომა ხმამ.

— ორი მახეთი „ბასტელს“ და ათი შორეიე ჩაეწერას.

პირობების დაზუსტების და შეეკრების თავი ვისა აქვს. ესეც არ იყოს, ვიზეა სასტეკიან კრძალვეს ლამით ყოველგვარ სიფაბარს.

...ეშვეარ ახლა ცივ ოთახში და სახლის პატრონს გუნებაში ყველაფერს ეუწოდებ, გარდა ესოდენ ლამაზი სიტყვისა — მასპინძელი.

ბოლოს მაინც ჩაეძინებება და ადგილადასახსნელ სიზმარს ვნახავ.

ნეტავ რაც დღეს ენახე და გადამხდა, სიზმარი იყოს და, რაც ამალამ დაესახზრება — სინამდვილე.

დაბდიეარ, დაბეძიბ...

„ეუკუშამ“ თავიანი სამმე იქის და დილის ცხრა სათზე უკვე ახალთახალ სასტუმრო „ბაკურიანის“ მოსაცდელში ვარ.

— ადგილი გიქვთ? — ვეკითხები მორიგე ადმინისტრატორს.

— მე არაფერი არ ვიცი.

— ამა ვინ იციან?

— დირექტორმა.

— თქვენ ხომ ადმინისტრატორი ხართ?

— დირექტორს დაველოდეთ, ახლა ადმინისტრატორიც თვითონ არის და ბეღლიტერიც.

დირექტორს სულ რაღაც სამსაათნახევარი ველოდე.

— ივანე კოზანაშვილი. — გამაცნო თავი... მე სიმართლის თქმა მოყვარს, ჩვენს სასტუმროში „ეურნალ-გაზეთების კიოსკი ფლეშეე ვერ გიპოვნეთ, კიოსკი კი არა, პატარა ფარდულიც არა გვიქვს, რომ კბილის ჯაგრისი და თეთრი ძაფი იყიდოს კაცმა. ჩვენი სასტუმრო სპორტული, მაგრამ არც თხილამურები გვიქვს გასაპრავებლად და არც ეულტუშაკი გვიკვეს, რომ დამსვენებლებს მოვემსახურო. ასეა, მე სიმართლის თქმა მოყვარს.

ეულელი, ეულელი!...

სასტუმროდან გამოსულს მოთხილამურეთა ლაშქარი შემომეფეთა. მოთხილამურეებს ხელში თოვლთა სავსე ვედროები ეჭირათ და ახალგაზრდული საერთაშორისო ბანკასაკენ მიქროდნენ. მეც მოვედი.

კედელთან ცეცხლზე შედგმული ქვაბს თავს დასტრიალებენ თმაშეოეტელი დამსვენებლები. ქვაბში ერთიმეორეზე იკლებდა თოვლით სავსე ვედროები. კედელზე ორი წარწერა: 11C-ზე თოვლი წყლად იქცევა... ერთი ვედრო თოვლი გვაძლევს ნახევარ ვედრო წყმინს წყალს.

ბაკურიანში წყალი ისევე ძვირფასია, როგორ ოჩამბირეში თოვლი. მოელი ამ ხალხმრავალი დასის წყლის დებულება ლიტრს უდგინს. ეწყლებინა ოქვეს სასტუმროებში თეთრეულის დაგვიანებით გამოცემის და ანტისანტარიას, ეწყალობის კვნი სრულებით არ მეშლობს ბაკურიანის ახალი ამბარ, ეწყლებინა ოქვეს წყალნაკს და ბეღლს გიწყალებას.

— ახლა რა საკოთხზე მეშლობთ? — ვკითხე ქვაბებთან დახრილ ახალგაზრდა მეცნიერ მეშაკს, რომელსაც მკონი დაიგრეოდა თავისი ჩამოსვლის მიზანი — თხილამურებით სეირნობა.

— თოვლისგან სასმელი წყლის მიღებაზე.



ტმეშაკი გვკვეს, რომ დამსვენებლებს მოვემსახურო. ასეა, მე სიმართლის თქმა მოყვარს.

ცხენი

კბაზე მარხილი დამეწია და ყურებაკოულმა მეეტლემ კატეგორიულად მიბრძანა.

— დაჯექეი!

მორჩილად ავედი მარხილზე და მეეტლეს მივაჩერდი.

— სათ? — მკითხა მან და ცხენს თავის ენაზე შეეძახა.

— ეს მარხილი ტაქსია თუ საკუთარი? — ვკითხე.

— ტაქსიე არის და საკუთარიც.

— ეს როგორ?

— ცხენი და მარხილი ჩემია, ხოლო მეეშაობის ნებართვა ბორკეთის საკოფილეხოვრებო კომბინატისა.

— მერე ბილეთი ან კილომეტრების სამგზავრო ღირებულება არ გაქვთ?

მეეტლემ ჩაცინა: — ჩვენთან ბილეთები არ მოდის. გვიჯობს რამდენიე გინდათ, იმოვეთ, ჩვენ კი დღეში ხუთი მანეთი ჩაგვამარეთო, ეს არის და ეს.

— მე რამდენს გამოამარეთმე?

— სამ მანეთს.

ეკან მოვიხედე. სულ ორასამდე მეტრი თუ გვაქნება გამოვლილი.

— ვაიმეო... რატომ სამ მანეთს?

— მანეთო ოქვენი, მანეთი ჩემოდნის და მანეთიც იმისა, რომ შეკითხვებზე პასუხი გაგეცეთ. — მითხრა მეეტლემ, სამი მანეთი ამაოლუტი და ცხენს თავის ენაზე შეეტეტრთხა.

ზეუბანიანი ქრონიკები

ბაკურიანის ცენტრში არის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა. მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში ასაფთ ცხოველები, ხოლო ისინი ვინც მეურნეობა შეადგენ ეკონორტები ფაკეგმა, ადამიანები არიან.

თუ მხედველობაში მივიღებთ ის გარემოებას, რომ ბაკურიანში ეინალიზაცია არ არის, მაშინ ადვილად წარმოვიდგენთ იმასაც, რომ მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის ახლოს ეკარნენაღიდ გიგლა ძალიან ჭირს.

საკონლის ნაკეთ. ზოგჯერ ერიკეებით ეზიდებიან და ზუსტად ამ ადგილებში ჰარიან, სადაც კოტტა გორაგან დაშვებულ თხილამურეთა ფინინში.

„სპორტსაკონელი“

მალაზიას ბაკურიანის პირობებში მეტად მიმზიდველი წარწერა აქვს: „სპორტსაკონელი“.

— იაფფასიანი თხილამურები გაქვთ?

— არა.

— ეიგეურები?

— არა.

— სათხილამურო ფორმა ან სლალომის ფეხსაცმელები?

— არა.

— სახანაო კოსტუმი თუ გაქვთ?

— გვაქვს.

— ქლაჩის ჩუსტები ან ზღვის ბალიში?

— არის...

— ვმადლობთ. ერთი მითხარით, როდის შემდეგ იქცა სპორტსაკონელად, ჭალის საცვალი, ბავშვის ტრიკი და ნაირფერი სათამაშოები, ეგრეთვე უშველებელი სავარძელი და ქველმოფერი სერვანტი?

თოვლის ბაღრა საპირამა...

ამაოდ დავეძებ ბაკურიანში ეურნალ-გაზეთებს, ამოდენა დაბაში „ეოლეზჩეჩტრის“ ერთადერთი კიოსკია და ისიც სულ რამდენიმე გაზეთს ღებულობს.

ბაკურიანის ტაეეში დღითიდღე ნადგურდება, რაღაან ალაკენ ფიკრობს დასის შეშით მოპარაგებაზე.

ბაკურიანის ტურბაზა პირველეოფილი ადამიანის სადგომება. ამავეგზრეზს.

ამაოდ დავეძებ ბაკურიანში კულტურის სახლს.

...და ყოველივე ამეების ამაოდ ძებნაში ვიღლები.

ღამდება, თოვლი თანდათან უფერულდება და მეჩვენება, რომ ბაკურიანის ცივი სიო მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის ბოსლებიდან უბერავს.

ეშვეარ ახლა ცივ ოთახში და ჩემი „ბეულეთილი“ მასპინძელი ღამის გათევაში წინასწარ მთხოვს ორმანეთსაბეკარს. ვფიქრობ, რა ვერი მიყიდა ძილი და თვალზე რეალ არ მეკარება.

რ. ბეზვალაძე
ბაკურიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ახლა მივხვდი, ქალის ცნობა
არ ყოფილა ადვილი;
სანამ სახლში მოვიყვანდი,
ჩუმი იყო ლანდივით.
თაფლობისთვე რომ გათავდა,
მუშტი დაჰკრა მაგიდას;
რაც თმა მქონდა შერჩენილი,
ყველა ყალყზე დამიდგა.
მითხრა: „თუ გსურს ეს ოჯახი
არ ავრიო, ამბაკო,
თავი უნდა დაანებო
ღვინოსა და თამბაქოს.
ხომ უყურებ, გამხდარი ხარ,
ცხვირში გაგდის სინათლე“. —
შედავება ვცადე, მაგრამ
თავი ველარ ვიმართლე.
შემოვირტყი შუბლზე ხელი,
(მგონი ახლაც მაჩნია).
ღვინოსაც და თამბაქოსაც
ერთად გადამაჩვია.
მოვიმატე... მთელ ქალაქში
ვერვინ მჯობდა სიგანით.
ქარი რაა, ადგილიდან
ვერ დამძრავდა გრიგალი.
ერთ საღამოს ცოლმა ისევ
მუშტი დაჰკრა მაგიდას;
რაც თმა მქონდა შერჩენილი,
ისევ ყალყზე დამიდგა.
თქვა: „თუ არ გსურს, ეს ოჯახი
დომხალივით ავრიო,
გასახდომად ათი ბოთლი
ძმარი უნდა დალიო.
კაცს არ ჰგავხარ, გასივებულ
ფეხებს ძლივსღა მიათრევ“. —
შედავება ვცადე, მაგრამ
თავი ველარ ვიმართლე.
მომაწოდა სავსე ბოთლი
და, დავცალე თუ არა,
იმ წუთშივე თვალებს შავმა
ბინდმა გადაუარა.
დავიგრიხე, მუცლის გვემით
ლამის სული გავაცხე.
ვიღუპები, ამოდენა
ვაჟკაცს ქალი მამარცხებს.
ხვალინდელ დღის გახსენებით
ვიზაფრები, ვღონდები
იმას ვნატრობ, ცოლს
უფლებით
როდის გავუტოლდები.

ტ. ვარდანიძე

ნახ. გ. ფირცხალავასი



შესვეჟება და შესვენება

ჩვენი უბანი

(ჩანახატი)

ჩემი უბანი გარეუბანია, კერძოდ, ძველი ნაძალადევი. რადიოც გვაქვს, ტელევიზორიც, კეთილი გულიც, მაგრამ მაინც არ გვეკარებიან ნათესავები, აღმართებისგან დაღლილ-დაქანცულნი და ჩიხებისაგან გზააბნეულები შორი გზიდან გვითვლიან მოკითხვას.

ჩვენში წყალი იშვიათი მოვლენაა და თვეში ერთხელ მოდის წყლის გადასახადთან ერთად. 501 კაცს გვაქვს ერთი საერთო ონკანი და ათას ორი მუშტი. ვინც ურიგოდ გაბედავს წყლის აღებას, რიგიანად დაუზელენ გვერდებს, მკერდს და თუ გაჩნია თავსაც. წყალი როცა მოდის, მოდის მთელი სამოცი წუთი, მერე შეწყდება და ვინც პირველი შეჩჩება პირგამშრალ ონკანს, მეორე თვეში მისგან იწყება რიგი. შეწყდება თუ არა წყალი, მაშინვე მოგვაკითხავს სახლმმართველობის „აგიტატორი“ და რჩევა-დარიგებას გვაძლევს: „ნუ დააქცევთ წყალს ქუჩაზე, ეს იწვევს ანტისანიტარიას“. ჩვენც ვუჯერებთ მას და წყალს არ ვღვრით ქუჩაში.

ხანდახან, წელიწადში ერთხელ, ან ოთხჯერ ბუნება გაიღებს მოწყალებას და გულუხვად გამოგვიგზავნის წვიმას. ამ ბედნიერ დღეს, ყოველ ეზოში დგას ლაბადაწამოსხმული კაცი და მეზობლის ეზოსკენ უცვლის პირს მთიდან მოვარდნილ ნიაღვარს. ასე ჩადის ლაფი ცენტრალურ ქუჩამდის და რეიდზე გასული ავტოინსპექტორივით აყენებს მანქანების რიგს.

ვაჭრობის მუშაკები სათოფეზე არ გვეკარებიან, პურის საყიდლად კილომეტრების გავლა გვიხდება.

პოლიკლინიკიდან გამოწერილ ექიმს, როგორც წესი, ავადმყოფი შუა გზაზე ხვდება და იქვე ახსნევინებს ბიულეტენს. ხანდახან ექიმს აღმართში გულის ფრიალი ემართება და სასწრაფო დახმარების მანქანით მიჰყავთ იქ, საიდანაც მოჰყავთ.

საღამოობით, თუ კარგი ამინდია, ყველა გარეთ არის გამოფენილი. ბავშვები ომობანას თამაშობენ, ჭაბუკები გრძელ ჯორს, ახალგაზრდები სიყვარულობანას, ხოლო შუახნის ადამიანები კი სადმე, მყუდრო ადგილზე სხედან და სვამენ ნისია ღვინოს (თითქმის ყოველი მესამე ოჯახი აკეთებს ღვინოს, ყოფილი ნაძალადევი „მეღვინეობის რაიონია). ზოგჯერ, ყველას შეუმჩნევლად, თვალცეცხლა ჭაბუკი აედევნება სახლისაკენ მიმავალ თეთრკანჭა გოგოს, გზას გადაუღობავს და ეტყვის:

— თუ მაძლევ, პირობას, ბარემ თქვი, თორემ...

— რა, თორემ...

— რა და, შენ თუ არა, ხვალ თინამ უნდა მომცეს პირობა.

— თუ აგრეა, მე უკვე გუშინ მივეცი პირობა ჯიმშერს.

— მართლა ამბობ?

— შენა?

— მე ვიხუმრე.

— მეც ვიცი ხუმრობა.

ასე ერთდება ორი მგზნებარე გული და მრავლდება ჩვენს უბანში ხალხი; მერე საცხოვრებელი ადგილი აღარ ჰყოფნით და „ქალაქში“ გადადიან. მერე ისინი ჩვენ სოფლელებს გვეძახიან.

მე გარეუბანში ვცხოვრობ.

რადიოც გვაქვს, ტელევიზორიც, კეთილი გულიც, მაგრამ მაინც არ გვეკარებიან ახლონათესავები. ჩვენში წყალი იშვიათი მოვლენაა და თვეში ერთხელ მოდის წყლის გადასახადთან ერთად.

გ. მახვილაძე

ნახ. თ. მირზაშვილისა



რა ჰქნას პეპელამ?

— ამხანაგო პეპელა, მართალია, თქვენ ამხანაგური სასამართლოს მდივანი, პროფბიუროს წევრი, კედლის გაზეთის რედაქტორი ხართ, ამასთან ტურისტულ-ლიტერატურულ-ჭრა-კერვის წრეების ხელმძღვანელი და შეთავსებით მშობელთა კომიტეტისა და ცურვის სექციის თავმჯდომარე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უარი თქვათ მომღერალთა გუნდში მეცადინეობაზე!

ნახ. დონისა



უტექსტო ხუმრობა

ბულდოგი

ის-ის იყო ვალტერ ზაპაშნიმ თავის „ტაიფუნს“ თბილისი დაათვალიერებინა, ლაღიძის წყალი გაასინჯა, ტელევიზიით გამოიყვანა, ცირკში აბურთავა და წავიდა, რომ ჩემმა კარის მეზობელმა ბიკენტიმ წაბაძვით ბულდოგი გაიჩინა.

დორბლიან, თვალებბრიალა ბულდოგს რომ ვუყურებ, პირი მიშრება და თვალები მიბნელდება. ის რომ დაიღრენს, მე კაპიტალურ კედელს იქით ვღრინავ.

ჭკვიანიაო, ამბობს. ბიჭოს! პატრონს არ ვენდობი და ძაღლს ვენდო? ამ სულძაღლი ძაღლის გულისთვის სტუმარი მენატრება.

ყველაფერს თავი დაანებეთ — სამსახურში უკანასკნელი გაფრთხილება მაქვს მიღებული. რვა საათზე, როგორც კი გამოვალ ოთახიდან, კარებთან ბულდოგი დამხვდება. გადავდგამ ნაბიჯს — დამანახვებს ეშვებს; გავჩერდები — მიყურებს ანგელოსივით; ვიყვირებ, იმხელას იყეფებს, რომ ხუთი სართული აზანზარდება; ვდგავარ და ცივი ოფლი მასხამს... არადა, მაგვიანდება.

ცხრის ნახევარზე გამობრძანდება ბიკენტი, შეაბრძანებს ბულდოგს ოთახში და მე მიშვებს სამსახურში. თავქუდმოგლეჯილი გავრბივარ.

ბიკენტი მუშაობას ცხრაზე იწყებს, მე — ცხრის ნახევარზე.

მთელი უბედურება ისაა, რომ ამ ოთხი წლის წინ ნარდის თამაშის დროს ბიკენტი და მე შევლაპარაკდით და...

მოკლედ, აგრესიული ბლოკია ჩემს წინააღმდეგ ბიკენტის და ბულდოგის შემადგენლობით.

...ერთი გამოსავალი დამრჩენია: უნდა დავანებო თავი ბულალტრობას, მივებარო ზაპაშნის, გავწვრთნა ერთი ვეფხვი და დავაბა ჩემს კარებთან.

თხა თხაზე ნაკლები...

გ. კონტრიძე

— ბილეთი 5 კაპიკი ღირს, შენ კი 3 [illegible]!..
— სამაგიეროდ ბილეთს არ გთხოვ[illegible]

№ 117
შემოვიდა 19 5 წელი



შეხსენება

ძვირფასო თანამოკალმეებო, ხომ არ დაგავიწყდათ, ჩვენმა ჟურნალმა გამოაცხადა კონკურსი (იხ. „ნიანგი“ № 23, 1964 წ.). საკონკურსო მასალებს ყოველდღე ვღებულობთ, მაგრამ, მოგეხსენებათ, ნიანგის მადა, კიდევ უფრო მეტს ველით თქვენგან.

გისურვებთ პრემიებს.

ნიანგი.

ნიანგის ბიბლიოთეკა

ნიანგსა ყუმარა

— ვილი, ხელები დაიბანე?
— დიახ, დედი!
— პირი?
— პირიც!
— ყურებიც?
— მარჯვენა ყური. მასწავლებელი მარჯვნივ მიზიხს!

— : —

— ტომ, შენი დაბადების დღისთვის ერთ ნამცხვარს გამოვაცხობ, რომელშიც ხუთი სანთელი იქნება.

— იცი რა, დედი, ჯობია ხუთი ნამცხვარი და ერთი სანთელი!

— : —

— ჩვენში ისეთი ზამთარი იცის, რომ ერთხელ, როდესაც ცხვარი ბორცვიდან ხტებოდა, ჰაერში გაიყინა და იქ ყინულის მასად დარჩა.

— კი, მაგრამ, მიზიდულობის კანონის თანახმად, განა ეს შესაძლებელი იყო?

— ვიცი, მაგრამ მაშინ მიზიდულობის კანონიც გაყინული გახლდათ.

— : —

— ჩემო ბიჭუნა, რას იზამ, როცა გაიზრდები?

— წვერებს გავიზრდი.

— რატომ?

— მთელი პირისახე აღარ მექნება დასაბანი.

— : —

პატარა ჯონი ხალხმრავალ ავტობუსში მამას მუხლებზე ეჯდა. ერთი დედაბერიც ამოვიდა. ზრდილობიანი პატარა ბიჭი ჩამოხტა მამის მუხლიდან, ქუდი მოიხადა და დეიდას მიმართა: დაბრძანდით!

— : —

— საიდან გაქვს ეს წიგნი?

— ჯილდოდ მივიღე.

— რისთვის?

— მასწავლებელმა მკითხა სირაქლემას რამდენი ფეხი აქვსო.

— მერე და რა უპასუხე?

— სირაქლემას სამი ფეხი აქვს-მეთქი.

— კი მაგრამ, სირაქლემას ხომ ორი ფეხი აქვს?

— ახლა კი ვიცი, მაგრამ სხვებმა უპასუხეს, ოთხი ფეხი აქვსო. ჩემი პასუხი შედარებით ყველაზე უკეთესი გამოდგა.

თარგმნეს მ. კვირკველიამ
და ც. იოსავამ

რედაქტორი გ. ნიშნიანიძე.

სარედაქციო კოლეგია: ნ. დუმბაძე, ხ. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, ნ. შველიძე, ო. ჭელიძე.

საქ. კპ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“.
რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, საერთო განყოფილების — 3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 1ს/II-1965 წ. ქაღ. ზომა 70×108 18, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. საქ. კპ ცკ გამომცემლობის სტამბა № 1. ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 471. უე 02947. ტირაჟი 40000

ᲙᲘᲚᲘᲙᲘ

ᲯᲐᲠᲘᲕᲘ ᲯᲐᲠᲝᲚᲘ

ИНДЕКС 76317

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲭᲘᲜᲭᲠᲘᲡ ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲐ

პრუსიის მეფეს ფრიდრიხ II თავი მოსწონდა არმიის რკინისებური დისციპლინით.

— ჩემს ჯარისკაცს თავისი ოფიცრის უფრო ეშინია, ვიდრე მტრისა.— ტრაბახით ამბობდა იგი.

თითქმის 200 წელი გავიდა მას შემდეგ. დასავლეთ-გერმანელ სამხედრო მოხელეებს კვლავ სიამაყით შეუძლიათ დაირტყან მჯიღი გულზე და თქვან — ბუნდესვერს კიდევ უფრო დისციპლინირებული ჯარი ჰყავს და აი საბუთიც — მე-II სატანკო დივიზიაში ახლახან შემოიღეს შემდეგი წესრიგი: განგაშის დროს ჯარისკაცებს ლოგინიდან აგდებენ ცრემლსადენი გაზით, მანევრებზე კი, დისციპლინის დარღვევისათვის, დასჯის უაღრესად ორიგინალური მეთოდია შემუშავებული — დამნაშავეს იძულებითი წესით აკმევენ ჭინჭარს.

ასეთია ბუნდესვერის სუსხიანი ჭინჭრის დისციპლინა.

„ᲗᲐᲕᲘ ᲥᲣᲓᲨᲘ“

უბრალო ამერიკელზე „ზრუნვით“ თეთრად ნათენებ ერთ დამეს დაიბადა ტექნიკის ახალი მიღწევა — ნიუ-იორკელმა ფაბრიკანტმა გამოიგონა შლიაპა პლასტიკური სარჩულით. ახალი მოდელი დიდი მოწონებით სარგებლობს. საქმე ის გახლავთ, რომ ასეთი სარჩული ანახევრებს თავში ჩაქუჩის ჩარტყმის სიძლიერეს. თუ თავი ასეთ ქუდში გაქვთ, სალამოობით თავისუფლად შეგიძლიათ ნიუ-იორკის ქუჩებში ისეირნოთ.

ᲯᲐᲠᲘᲛᲐ ᲖᲘᲖᲦᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

მისი ტაქსი იდგა ქუჩაში. ლიმუზინს მიუახლოვდა ქალბატონი, რომლის მკერდს საზარელი სამკაული — ბრილიანტებით მოოქვილი ფაშისტური სვასტიკა „ამშვენებდა“. მძღოლმა მომსახურებაზე უარი თქვა.

— თუ შენ ებრაელი ხარ, რატომ არ მოხვდი კრემატორიუმში?.. — ზიზღით თქვა ინგლისის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ლიდერის კოლინ ჯორდანოს მეუღლემ.

ფაშისტებისაგან ნაწამებმა ვოლფ ბასელმა წონასწორობა დაკარგა, ჩამოგლიჯა ქალს ძვირფასთვლებიანი სვასტიკა და კანალიზაციის არხში გადაუძახა.

შოფერი დააჯარიმეს.

ჯარიმის გადახდის სურვილი გამოთქვა ტრანსპორტის მუშაკთა პროფკავშირმა.

— გადაყარეთ ყველა სვასტიკა, ჯარიმას ჩვენ გადავიხდით.— აცხადებენ ლონდონელი ტრანსპორტელები.

ᲛᲘᲩᲘᲒᲐᲜᲔᲚᲘ ᲓᲝᲜ-ᲟᲣᲐᲜᲘ

რისთვის სჯიან ფრედ ოუენს. ერთი „საწყალი“ მიჩიგანელი ბიჭია. ცოლის თხოვა უნდოდა. დასანიშნი ბეჭდის შესაძენად ყალბი ქვითარი წარადგინა. „დაავიწყდა“ პირველ-მეორე-მესამე ცოლთან განქორწინება და კიდევ იმისთვის, რომ... ჰო, მესამე ცოლს აწამანა ავტომობილი მეოთხე ცოლთან საქორწინო მოგზაურობაში გასამგზავრებლად.

მორიგე ქმარი — ასე იცნობენ მას ქალაქში.

დონ-ჟუანის მიჩიგანური ვარიანტი სრულიად შეესაბამება „თავისუფალ სამყაროს“.

400 ᲛᲔᲢᲠᲘ ᲡᲘᲬᲛᲘᲜᲓᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲬᲛᲘᲜᲓᲣᲠᲝᲑᲐᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ

კაზინოს პატრონები, სხვა მომსახურების გარდა, მომხმარებელთა ჯიბეებში ხელებს აფათურებენ მეძავი ქალების მეშვეობითაც. ლას-ვეგასში ამერიკის ყოველი კუთხიდან იყრიან თავს მეძავები. აქ მათი უმუშევრობა ლიკვიდირებულია. კანონი ხაროსკოპოების გახსნის უფლებას იძლევა მხოლოდ ერთი „შეზღუდვით“ — ისინი 400 მეტრით მაინც უნდა იყვნენ დაშორებული სკოლისა და ეკლესიისგან.

რა ფასი აქვს ამერიკულ „თავისუფლებას“ ან „შეზღუდვას“, ამაზე მეტყველებს ახლახან მომხდარი ამბავი: განიხილეს ამ კანონის დარღვევის ფაქტი — ერთ-ერთი ხაროსკოპო სკოლის გვერდზე აღმოჩნდა. მუნიციპალიტეტის მრჩეველებმა მაშინვე მიიღეს გადაწყვეტილება: გადატანილ იქნეს... სკოლა.







ნახ. ბ. ლომიძისა